ეჰლი სუნნეთის მიხედვით

თ ა ს ა ვ ვ უ ფ ი

მოამზადა: ზურა ზოსიძემ

მუსლიმთა ტრიბუნა

بسم الله الرحمن الرحيم

მწყალობელი და მოწყალე ალლაჰის სახელით

الحمد لله رب العالمين والصلاة والسلام على سيّدنا محمّد الأمين وبعد،

დიდება ალლაჰს სამყაროს ღმერთს, ლოცვა და მშვიდობა მის შუამავალ მუჰამმედს, "ამიინ", ამის შემდეგ:

თასავვუფი

თასავვუფი ზუჰდის და სეირი სულუქით ცხოვრებას ნიშნავს.

თასავვუფის საწყისი შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე) მომდინარეობს რომელიც მესჯიდი ნებევის ერთ კუთხეში არსებულ მესჯიდი სუფფაში მყოფ საჰააბეებისგან (ესჰაბი სუფფასან) მომდინარეობს.

ზუჰდი არის ცხოვრების წესი რომელიც ეფუძვნება ყურანს და სუნნეთს.

ზუჰდის საუკეთესო ნაშრომები აბდულლაჰ ბინ მუბარექის და იმამ აჰმედ ბინ ჰანბელის წიგნებია (ქითაბ ზუჰდ ვე რაყააიყ და ქითაბულ ზუჰდი).

თასავვუფი ამ ქვეყნიური რამეებზე უარის თქმაა.

იმამი გაზალი განმარტავს:
“ამ ქვეყნიურისგან თავის არიდებას და იმვეყნიურსითვის უპირატესობის მინიჭებაა”

სწავლულთა შეხედულებები

ასევე ებუ ზექერია ელ ენსარი ამბობს:
“თასავვუფი ესაა მეცნიერება რომელიც ადამიანს ეხმარება სულის განწმენდაში”
(იყამუ დელაილ ტ:1 გვ:94)

სულეიმანის (დავუდ ტაი, ებუ ჰანიფეს მოწაფე) გადმოცემით, მან ებუ ჰანიფესგან ფიყჰი და თასავვუფი გაიგო და შეისწავლა.
(რედდულ მუხთარ 1/43)

იმამი შაფი’ი ამბობს:
” ეჰლი თასავვუფიდან ჩემს ძმებს მინდა სამი ნასიჰათი გავუკეთო:
*დროა ხმალი ვიშიშვლოთ და ვიბრძოლოთ (ნეფსი ემმარესთან)
*ნეფსი ემმარე თქვენ უნდა დაამარცხო რადგან ის ადამიანის ერთერთი სენია
*ცოდვებისგან თავი შორს უნდა გეჭიროთ.
(იხ. სუიუტი, თეიდულ ჰაქიქათილ ალიიე, გვ: 15,)

იმამი აჰმედი პასუხობს მუთასავვუფების შესახებ:
ونقَل إبراهيمُ بنُ عبدِ اللهِ القلانِسيُّ أنَّ أحمدَ قالَ عن الصوفيّةِ :لا أعلمُ أقوامًا أفضلَ منهم
იმამი აჰმედი ეუბნება იბრაჰიმ ბინ აბდულლაჰ ყალანიის ეჰლი მუთასავვუფების (სუფისტების) შესახებ:
"მე არ მინახია სხვა უფრო ძვირფასი საზოგადოება (ყავმი) ვიდრე არიან მუთასავვიფები (სუფისტები)"
[იბნ მუფლიჰ, ელ ფურუ, ბეირუთი გვერდი; 1319; ჰანბელი ფიყჰის წიგნი მეტალიბუ უნილ ნუჰე, ტომი 5, გვერდი; 253]

იბნ თეიმიიე ამბობს:
فمن سلك مسلك الجنيد اهل التصوف و الهمرفة كان قد اهتدي و نجا و سعد
"ვინც ამოირჩია და გაჰყბა ეჰლი თასავვუფს მან ეს სწორი გზა ამოირჩია, და ასევე მან ამ ქმედებით საკუთარ თავს დაეხმარა"
(იბნ თეიმიიე ელ მეჯმუ' ელ ფეთაავაა ტ:14 გვ:33)

იბნ ჰაჯერის ფეთვებიდან:
"ტარიყათი ესაა განსაკუთრებული გზა რომელიც მიისწრაფვის ალლაჰისაკენ, და იგი მხარდაჭერილია ალლაჰისგან"
(სილყუნ ელ 'აიანი)

იბნ ჰაჯერი ამ სიტყვებზე დაყრდნობით გამოაქვს ფეთვა.
(იხ: ფეთაავა ელ ჰადისიიე გვ:228)

ალლაჰმა უკეთ იცის

თევესსული

ალლაჰი ბრძანებს:

“يا يها ٱلذين ءامنوا ٱتقو الله و ٱبتعوا إليه الوسيلة و جهدوا في سبيله لعلكم تفلحون”

“ჰეი თქვენ რომელებმაც ირწმუნეთ, გეშინოდეთ ალლაჰის და ეძიეთ ვასილეს (და ამ ვესილეთი) და იბრძოლეთ ალლაჰის გზაზე და იქნებით გადარჩენილები”

(სურა მაიდე აიეთი 35)

თეფსირი აიეთის:
“ვესილე ჭეშმარიტი გზის სწავლულები და ტარიყათის შეიხები არიან”
(რუჰულ ბეიან ფი თეფსირულ ყურან 2/107-108)

სიტყვა “ვესილე”-ს ზუსტი ლექსიკონური და განმარტებითი მნიშვნელობა არის ასეთი:
“ვესილე არის შუამდგომლობა, შუაკაცობა და მაღალ და დაბალ ფენათა შემაერთებელი დამაკავშორეველი სიტყვა”

“ვესილე მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთან დაკავშირებით გამოიყენება”

“ყველაზე დიდი ვესილე შუამავალი (ს.ა.ვ) იყო რადგან მან ალლაჰის კანონი წესი ზიქრი მოიტანა ჩვენამდე, ალლაჰი პირადად ჩვენ არ გვესაუბრება იგი მასსა და ჩვენს შორის გზავნის ვესილეს რომ გვამცნოს მისი კანონი”

“ვესილე შუამავლის (ს.ა.ვ) შემდგომ არის მურშიდი ქამილები”

“პირველად ვესილე შუამავალი (ს.ა.ვ) იყო შემდგომ საჰაბეებიდან (რჰ.ა) შემდგომ თაბი’ინებიდან და თებ’ი თაბი’ინებიდან და ასე ჩვენამდე 33 მურშიდი ქამილი ანუ მუჯედდიდი”

შუამავალი (ს.ა.ვ) ამობს რომ ალლაჰმა თქვა:

“ადემ! ის ჩემს ქმნილებებს შორის ყველაზე საყვარელია, მისი პატივისცემისთვის (ხურმეთით) შემევედრე, და მე შენ გაპატიე, მუჰამმედი რომ არ ყოფილიყო შენ არ შეგქმნიდი”

(ჰაქიმი მუსთედრექ 2/672 ბაიჰაყი დელალეთულ ნუბუვვე 5/488-489 ჰადისი გამოყენებული აქვს მუჰადისს იმამ სუიუტს თავის თეფსრიში დურრულ მენსურში 1/142 და ჰადისის ისნადზე ამბობს საჰიჰია
იმამ მალიქსაც (რ.ა) სანდოდ უცნია ეს ხადისი და მის მიხედვით გაუცია ფეთვა.
იხ: ყასტალანი შერჰულ მევააჰიბ 8/313)

ძვირფასი ენესი (რ.ა) გადმოგვცემს რომ ომერ ბინ ჰატტაბმა (რ.ა) ასეთნაირად გააკეთა დუ'ა იბნ აბბასის ხურმეთით, გაწვიმებისთბის:
"ეი ალლაჰ შუამავლის (ს.ა.ვ) თევესსულით (მისი ხათრით, ხურმეთით) ჩვენ წვიმა მოგვივლინე, და ახლა შუამავლის (ს.ა.ვ) ბიძის თევესსულით (იბნ აბბასის ხურმეთით, მისი სიძვირფასის ხათრით) წვიმა მოგვივლინე" თქმის შემდგომ გაწვიმდა. (საჰიჰი ბუჰარი ისთისყა 3)

სწავლულებს ასეთნაირად გადმოუცემიათ:

იმამი იბნ ჰაჯერ ელ ჰეითემი ამბობს: "იბნ თემიიეს დროსაც კი დედამიწის ზურგზე არავინ უარყოფდა შუამავლის (ს.ა.ვ) თევესსულს და ისთიღასეს." (ჯეჰვერ ელ მუნეზზემი ფი ზიარეთულ ყავმილ მუქერეემ გვ:171)

იმამი იბნ აბიდინი ამბობს:
"მე უზენაესი ალლაჰის შუამავალს (ს.ა.ვ) ვემორჩილები (იტაღათს ვუკეთებ) და მის ყველაზე მაღალ საფეხურზე მყოფობას ვადასტურებ, და ძვირფასი იმამ აზამით (ებუ ჰანიფე ნუღმან ბინ საბით ელ ქუფის) თევესსულს ვაკეთებ"
(რედდულ მუხთარ 5/540)

იმამი იბნ ყუდამე (რ.ა) როცა შუამავლის (ს.ა.ვ) საფლავთან ზიარეთზე მივა შემდეგნაირად იტყვის:
“ცოდვების გამო ალლაჰის წინაშე ვინანიებ (თევბეს ვაკეთებ) და შენთან მოვედი და ალლაჰის გზაზე სიმაღლისთვის თევესსული და შეფაღეთი მსურს” (ელ მუღნი მაა’იშ შერჰ 3/258)

რაბიტა

რაბიტა (არაბ: رابطة) ქართულად პირველი გაგებით კავშირს ნიშნავს. მეორე გაგებით ბრძოლის ველზე ყოფნას (შენსა და ნეფსი ემმარეს შორის ბრძოლის ადგილი). მესამე გაგებით ფიქრს ნიშნავს.

სიტყვა "რაბიტა" ყურანში:

ალლაჰი ბრძანებს:
" يأيها ٱلذين ءامنوا ٱصبروا وصابروا و رابطوا و ٱتقوا ٱلله لعلكم تفلحون"
"ჰეი თქვენ რომელთა ირწუმეთ მოითმინეთ და შეეჯიბრეთ (მოთმენაში) და რაბიტა გააკეთეთ (ებრძოლე საკუთარ თავს " ნეფსი ემმარეს") და გეშინოდეთ ალლაჰის და იქმენით გადარჩენილნი"
(ალი იმრანი 3/200)

ალლაჰი ბრძანებს:
"لو لا أن ربطنا علي قلبها من ٱلمؤمنين"
"დავუკავშირეთ მათ გულები რომ დარჩენილიყო იგი მორწმუნედ"
(ყასასი 10)

“ربطنا علي قلوبهم”
“დავუკავშირეთ გულები”
(ქეჰფი 14)

“و يذهب عنكم رجز ٱلشيطن و ليربط علي قلوبكم”
“და განაშორდი შეითნის სიბილწეს და გული დაუკავშირე”
(სურა ენფალი 11)

ნეფსი ემმართან ბრძოლა

ალლაჰი ამბობს:
“و ٱصبر نفسك مع ٱلذين يدعون ربهم بٱلغدوة و ٱلعشي يريدون وجهه”
“დაიმორჩილე შენი თავი მათთან ერთად ვინც ევედრებიან ალლაჰს დილოდან დილით და საღამოს.”
(ქეჰფის სურე აიეთი 28)

განმარტება:
“ამ აიეთიდან ჩანს რომ ნეფსის დამორჩილება შესაძლებელია იმათთან ერთად ვინც ევედრება ალლაჰს დილით და საღამოთი. რათქმაუნდა აქაც მურშიდი/მუჯედდიდი/ებდალი იგულისხმება”

შუამავალი ბრძანებს:
“ჯიჰადი ორი სახისაა, დიდი ჯიჰადი და პატარა ჯიჰადი, დიდი ჯიჰადი საკუთარ თავთან ბრძოლაა”
(ჯამიუს საჰიჰ თირმიზი)

შუამავალი (ს.ა.ვ) ბრძანებს:
“ყველაზე საუკეთესო ჯიჰადი საკუთარ ნეფსთან ბრძოლაა”
(სუნენი თირმიზი ჯიჰადი 2)

თეფექქური

შუმავალი ბრძანებს:
“تفكر ساعة حير من عبادة سبعين سنة”
“ერთი საათით თეფექქური 70 წელ ნაფილე ღვთისმსახურების ტოლფასია”
(სუიუტი ჯამი’უს საღირ 2/127 აჯლუნი ქეშფულ ჰაფფა 1/310 ასევე ჰეისემი მუჯემ ზევაიდ)

მესამე თაობიდან იმამი ჯა’ფერ სადდიყ (რ.ა) გარდმიგცვემს:
“ალლაჰიდან მუდამ გეშინოდეს და მისი როდი იქონიეთ, ადექი ღამით და თეფექქური გააკეთე..”
(უსულუ ქაფი ტ:2 გვ:54)

ასევე ალლაჰის უძვირფასესი შუამავალი ამბობს:
“ვერცერთი იბადეთი (ღვთისმსახურება) ვერ შეედრება თეფექქურს”
(ქენზულ უმმალ 16/121)

შუამავალი ბრძანებს:
تفكروا في خلق الله و لا تفكروا في الله فتهلكوا
“ალლაჰის გაშენილებზე თეფექქური გააკეთე (დაფიქრდით), მაგრამ ალლაჰის არსზე არ არასდროს დაფიქრდეთ რადგან თქვენ ამის ძალა არ გაქვთ”
(სუიუტი ჯამიუს საღირი 1/132)

მურშიდი / მუჯედდიდი / ებდალი

ალლაჰი ბრძანებს:
“يا يها ٱلذين ءامنوا و ٱتقوا ٱلله وكونوا مع الصدقين”
“ჰეი თქვენ რომელთაც ირწმუმეთ გეშინოდეთ ალლაჰის და იყავით “მართალთა გვერდით”
(თევბე 9/119)

განმარტება:
“ალლაჰი ბრძანებაა რომ “სადიყების” გვერდით ვიყოთ. “სადიყები” არიან “ალიები” და “მუჯედდიდები” და სულიერად მათ გვერდით ყოფნას გვავალდებულებს.”

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ვ) ამბობს:
” ان الله تعلي يبعث لهذه الأمة علي رأسي كلي ماءة من جديدها دينها”
“უეჭველად ალლაჰუ თე’ალა მოავლენს უმმეთებიდან ყოველ ას წელიწადში ერთხელ დინის (რწმენის) გამაგრძელებლებს (მუჯედდიდებს)”
(სუნენი ებუ დავუდი, ჰადისი ნომ: #4291)

ასევე ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:
“الابدال في هذه الأمة ثلاث و ثلاثون رجلا”
“ჩემი უმმეთებიდან 33 ებდალი (მურშიდი ქამილი, მუჯედდიდი) მოვა”
(მუსნად აჰმედ იბნ ჰანბელი 322 იბნ ასქერ ათ თარიჰ 67/1 ჰეისემი მუჯემი’უზ ზევაიდ 62/10 სუიუტის ფეთვები “ფათვა ალ ჰავია” 461/2)

იმამი სუიუტი განმარტავს:
“ებდალი, ღავსი (გავსი) ნუქედა, ნუჯედა, ქუთუბი, და ევდათი თითქმის ერთი და იგივე მნიშვნელობისაა”
(სუიუტი ჰავი ელ ფეთაავი 2/462)

განმარტება:
“ამ წყაროებიდან ჩანს რომ ყოველ ას წელიწადში ერთხელ უნდა მოვიდნენ მუჯედდიდები (მურშიდი/ებდალი) და მათო ოდენობა 33-ია.”

ევლიის სახის წარმოდგენა იბადეთია

შუამავალი (ს.ა.ვ) ამბობს:
“5 ღვთისმსახურება არსებობს:
ქა’აბეზე ყურება, დედ-მამის სახეზე ყურება, ზემზემის წყალზე ყურება, ცოდვების გაუქმება, და ალიმის სახეზე შეხედვა”
(დეილემი, მუსნედულ ფირდევს 2/190, ნომ: 2969,ალი ელ მეთთექი ქენზულ უმმალი ნომ.43494, 15/880, მუნავი ფეზიულ ყადირი, ნომ:3971, 31613)

ასევე იბნ მესუდის (რ.ა) გადმოცემით შუამავალს (ს.ა.ვ) მიუთითებია:
“მვირფას ალის (რ.ა) სახეზე შეხედვაც ღვთისმსახურებაა (იბადეთია)”
(ჰაქიმი ელ მუსთედრექ ნომ: 4683, 82,81, 3/153; ტაბერანი, ელ მუჯემ’ულ ქებირ, ნომ:207, 18/109; დეილემი, ელ ფურევს, 4/294; ებუ ნუ’აიმ, ჰილიეთულ ევლიია, 2/183, 5/58)

განმარტება:
“ამ ორი ჰადისი თანახმად სწავლულის (ალიმის) მურშიდის მუჯედდისი სახის წარმოდგენა ღვთისმსახურებაა რადგან იქ შუამავალმა ნათლად მიუთითა ძვირფას ‘ალიზე (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) შეხედვაც ღვთისმსახურებააო ეს არის მტკიცე არგუმენტი იმისა რომ რაბიტა არის ღვთისმსახურება რადგან იქ ორი ღვთისმსახურება ხდება ერთაფ ერთი “თეფექქური” ანუ “ფიქრი” და მეორე მურშიდის სახის წარმოდგენა.”

ებუ საიდ ჰუდრი გადმოგვცემს რომ მან შუამავალს დაუსვა კითხვა: ვინ არის ალლაჰის მეგობარი (ევლია)?
შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე) უპასუხა:

“هم الذين إذا رؤوا ذكر الله”
“ისინი არიან (ევლიები) რომლის წარმოსახვა ზირქია ალლაჰისადმი”
(ებუ ნუაიმ ჰილიე ტ:1 გვ:5)

განმარტება:
“სიტყვა “رؤوا” სიტყვა სიტყვით ნიშნავს “წარმოსახვას” თვალებით ხედვის გარეშე და აქედან გამომდინარე ევლიის წარმოდგენა ზიქრია.”

ჰათმი ჰაჯეგანი

ჰათმი ჩვენზე ბოძებული ერთერთი წყალობაა.

ალლაჰი ბრძანებს:
“و ٱصبر نفسك مع ٱلذين يدعون ربهم بٱلغدوة و ٱلعشي يريدون وجهه”
“დაიმორჩილე შენი თავი მათთან ერთად ვინც ევედრებიან ალლაჰს, დილით და საღამოს.” (ქეჰფის სურე აიეთი 28)

აიეთის თეფსირი:
“ერთი რივართით ერთხელ შუამავალი მივიდა მესჯიდში სადაც უცნაური და ძველ სამოსით შემოსილი ხალხი დაინახა რომლებიც ჯგუფურად ზიქრს აკეთებდნენ. შუამავალს მოეწონა მათთან მივიდა დაჯდა და ელჰემდულილლაჰ წარმოთქვა იქ არსებულის გამო”
[ტაბერი, ჯამიულ ბეიან, ქეჰფის 28 აიეთის თეფსირიდან; იბნ ქესირი, თეფსირულ ყურანილ ‘აზიმ, 5, 153; სუიუტი, დურრულ მენსურ, 5, 381; ებუ ნუაიმ, მარიფეთუს-საჰაბე, ტ:3, ნო: 4634.]

“მეორე გადმოცემა როდსაც მივიდა იმ ხალხთან შუამავალმა დაჯდა და თქვა მათზე:

ეს ალლაჰის უდიდესი წყალობაა, ვისაც უნდა იმ წყალობას შეუერთდეს ამ ზიქრის წრეში დაჯდეს”
[სუიუტი, დურრულ მენსურ, ტ:5, 382.]

ესჰაბემა შეეკითხნენ შუამავალს რომ სამოთხოს ბაღები სად არის ამ ქვეყნად?
შუამავალმა უპასუხა:
“ზირქის წყეებზე დაჯდომა”
[თირმიზი, დეღავათ, 82; აჰმედი, მუსნედი, ტ:3, 150.]